# გლახა და მდიდარი

ერთი გლახა კაცი თავის სახლში იჯდა და ინატრა: ღმერთო, ხუთასი მარჩილი მომეცო და თუ ან ერთი აკლია, არ ვინდომებო.

ერთი მდიდარი კაცი თურე ბანზე იარებოდა, მან გაიგონა და თქვა: მივიტანო და გამოვცადო კაცი ესე თუ რასა იქმსო.=
წავიდა, ხუთასი მარჩილი დათვალა და ათი დააკლო. დაბეჭდა და ბანიდამ ჩაუგდო.

დათვალა კაცმან მან და ათი აკლდა. თქვა: ღმერთო. შენმც კურთხეულ ხარო ერთი მარჩილიც გებოძა, იმასაც დავიმადლებდი, არამც თუ ეს დაგამწყრალოო.

ჩამოვიდა იგი მდიდარი კაცი და უთხრა: ჩემია, გამოგცადე. მომეც, წავიღოო!

მან შორს დაუჭირა: შენთვის არ მითხოვნია, ღმერთსა ვსთხოვე და მომცაო.

შეიცილნენ და ყადთან საჩივლელად წავიდნენ.

მან გლახამან უთხრა: მე არა მაცვია რა და შენ კარგად მორთულხარ, ეგ შენი ტყავ–კაბა მათხოვე და წამოვალო.

მან კაცმან ამდენს სიკეთეზე ისიც დაამატა, ათხოვა. ჩაიცვა, და წავიდენ ყადთან იჩივლეს.

მერმე მან გლახაკმან თქვა: ეგ ასეთი მაცილობელი კაცია, თუ ამ ტყავ–კაბასაც არ შემომეცილება, ნახავთო!

მან კაცმან უ⊔ხრა: ახლა არ გათხოვეო.=

ამაზე ყადი გაწყრა, მრავალი ჯოხი ჰკრეს, მდიდარი კაცი გააძეს. ასრე კარგი პასუხი უყო, კიდევ გაძარცვა და ათრევინა.

– კარგისათვის კარგი არავის უქმნია, ნუ ამბობ!

თქვა ლეონ არაკი: